



შალვა პალაშვილი

წიგნიერო რაიონსა და ოლქში გატაცებული არიან, მაგალითად, ნებისმიერი საბა-
 დით, სხვადასხვანაირი შტაბებისა და კომისიების შექმნით. ზოგჯერ ისინი იმდენად ბევრია, რომ
 თვით ორგანიზატორები ვერ არჩევენ, ვის რა აქვს დავალებული და ვინ რისთვის აგებს პა-
 სუხს. ცალკეული შუშაკები სათავეში უდგანან ლამის თორმეტ სხვადასხვა კომისიას, რაც
 ზიანს აყენებს მათ პირდაპირ სამსახურებრივ მოვალეობებს. ყოველივე ეს აღმანიანებს აცდენს
 უშაკების სხლომებით, იწვევს ძაღების დაქსაქსვას, არაფრით არ ეხმარება საქმეს. ზოგჯერ
 ზოგიერთი ხელმძღვანელი, იმის ნაცვლად, რომ პასუხი აგოს თავისი სამუშაოსათვის, მხოლოდ
 როგორც თავის დროზე მოსწრებულად შენიშნავდა ლენინი, „კომისიებს ეფარება“.

საქომისიო კაცი

კ. შ. ჩიბრაძე

საქმის

ISSN 0132-6015
8-84

ნოდარ ზამბანაძე

ზტაზ-კომისიების

ტყვეობაში

საქმის
მოსაგარეგლად
სამეართავლო
შტაბი
შეიქმნა!
თვითონ
შტაბი
შეიქმნა შტაბი! —
იხ უტაზ
შტაბის
შტაბი არქა!
შტაბის
შტაბი
დაუახურდა,
აირჩია
კომისია!
საქმა
მოსაგარეგლად
ელის,
კომისიის
ლოდინება!
კომისია
აგუთავდა! —
მანახ შექმნა
კომისია! —
საქმა ჩაქვდა,
ჩინავდა!
შვალა რაღა
დროისია?!
ჩამავარ საქმის
მასარეგლად
ქმნიან
ახალ კომისიას!

კომისიის სტეტი



მ ო თ ს რ ო ბ ა

ჩვენი დაწესებულება ყავადნებს უმეებს, ანუ აწარმოებს. იგი ისეთივეა, როგორც ყველა დანარჩენი: ჩვენც გვაქვს დირექტორი, მისი პირველი მოადგილე და რიგითი მოადგილეები... როგორც ყველა დაწესებულებაში, ზოგ-ზოგებივით ჩვენც ვწუნუნებთ. ჩვენთან ისევე დადის სპეკულანტი, როგორც სხვაგან, ჩვენთან ისევე ჭორაობენ ვრთმანეთზე, როგორც ყველგან. ჩვენი უფროსები გეგმების შესრულებაზე ისევე ქაქანებენ, როგორც საერთოდ დირექტორები.

ყავადნებს კი ვუშვებთ, მაგრამ როგორს, რანაირს და რამდენს? ამაზე ალბათ ჩვენს დაწესებულებაში თავს არავეინ შეიწყნებდა, რომ ხალხის სივანალები არ შესულიყო ზემოდან მაქერალ ორგანიზაციაში (ტრესტი—გაერთიანება)და მათ არ ვკითხვით, რატომ არის ასე, რომ დახარჯული ლითონის რაოდენობა ხამჯერ მეტია თქვენს მიერ წარმოებულ ყავადნების რაოდენობაზე? დასვეს თუ არა ეს შეკითხვა, ჩვენს დაწესებულებაში უმაღ შეიქმნა ამ შეკითხვის შემსწავლელი ორი კომისია: ერთი კომისია იბრძოდა ლითონის მოშვირნობით ხარჯვისთვის, მეორე კი — ყავადნების დატაცების წინააღმდეგ. ორივე კომისიაში შევიდნენ დირექტორი, მოადგილე, ბულალტერი, საწყობის გამგე, სამაქროს უფროსი და დირექტორის პირველი მდივანი (ოქმების დაწერა მას ესწრებოდა და იმიტომ).

კომისია მუშაობას ჯერ არ შესდგომოდა, რომ ზემოდან მაქერალ ორგანოში ანონიმური წერილი აფრინეს: „ყავადნების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლა მაგათ მიანდეთ?! გამოდის, რომ შეგულს კრავი ჩააბარეთ!“ ზემოდან მაქერალეებმა გვიკარნახეს: ვინმე, ამ საქმიდან შორს მდგომი, ავტორიტეტული პირი, თანაც პატიოსანი, კომისიაში შეიყვანეთო!

— ისეთი კაცი უნდა შევიყვანოთ კომისიაში, რომ კომისია ავტორიტეტული გახდეს, თორემ ავი ვნები გუსლანობას არ მოიშლიან! — განაცხადა დირექტორმა.

— ჩვენი ტრესტის მმართველი შევიყვანოთ, — კანდიდატურა წამოაყენა დირექტორის მოადგილემ.

— გაიყდი?! სადა სცალია ჩვენთვის, სამინისტროს ხუთ სხვადასხვა კომისიაში მონა-

წილეობს — განუმარტა დირექტორმა.
— მაშინ ჩვენი მინისტრის პირველი მოადგილე...

— აბა, რას ამბობ?! სამინისტროში სამი კომისიაა და სამივეს მინისტრის პირველი მოადგილე სელმძღვანელობს, კაცი სამეცნიერო ბიუროს თავმჯდომარეა და ჩვენს კომისიაში ვადმოვა?! ჯერ მარტო სამეცნიერო ბიუროშია შექმნილი სამუშაო საათებში ჰადრაკის თამაშთან, ქსოვასთან, რუბიკის კლბიკთან, კროსვორდებისა და რეპუსების ამოსხნასთან ბრძოლის კომისიები... და, რაც მთავარია, უდროოდ დროს ყავის სხასთან დაწლებეშე მარჩიელობა-მკითხაობასთან ბრძოლის დრმანალიზური შეთოდების კომისია!

— შედეგები როგორი აქვთ? — ჰკითხა დირექტორს მთავარმა ეკონომისტმა.

— შესანიშნავი! ჩამოთმეული ყავადნებით ამ კვარტალის გეგმა შეგვირულეს!

— აბა, რაციონალური კომისია ყოფილა და ვე რომ არა, გეგმები ჩავგვიარდებოდა!

— ძირითად თემას გადავუსვიეთ! დავასანელოთ კომისიის ღირსეული წევრი! — ქოთქოთებდა დირექტორი.

— ჩვენი მთავარი რევიზორი რომ...

— მაგას ისედაც ვვალეა ზედამხედველობა! — დირექტორმა რომელიღაც კომისიის წევრის სმა თავისი როსროხით ჩაახშო.

— ჩვენი სახალხო კონტროლიორი...

— არ იზამს! — კანდიდატურა უარყო მთავარმა ინჟინერმა.

— რატომ? — ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

— მე სახალხო კონტროლიორი ვარ და არ მინდა, ხალხს ვაწყენინო!

— ხომ არ აჯობებდა, კომისიაში ლითონის

საწყობის გამგისა და ყავადნების საამქროს უფროსის შეილების კლასის დამრიგებლები შეგვეყვანა? — ახრი გამოთქვა მთავარმა ეკონომისტმა.

— რას ამბობ, სად ჰყავთ მაგათ საჩვენო კაცი?! მაგათი შეილების სკოლის დირექტორი ყელის გამოწვევით გვეწვევება, მშობელთა ზნეობრივი ვადამზადების ნებაყოფილობით ახალდარსებული უნივერსიტეტისათვის მტაბარეშე პრორექტორის კანდიდატურა

მოგვეცითო!.. და იციო, დღემდე კანდიდატურა რომ ვერ შევარჩიეთ?! - შეწუხდა დირექტორი.

- რა უნდა მაგის შერჩევას! - საქმე გააიოლა დირექტორის შესაძვე მოადგილემ.

- ა, ბატონო, გენიოსი! შეხედეთ, როგორ ვადრეულბა კადრების შერჩევა! აბა, ჩვენი მესია, უცვ გვითხარი კანდიდატურა!

- ჩვენი კომენდანტი!

- აბა, რას ამბობ?! ეგ შენი კომენდანტი სამ ცოლთან არის გაყრილი, უკანასკნელ ცოლ-შვილს კი დანებით დასდევს! მაგან რა უნდა ასწავლოს სხვებს? დაასახელე სხვა!

შესაძვე მოადგილე დუმდა, დირექტორი კი უყვირებდა:

- პა, რატომ არ ასახელებთ კანდიდატურას? ასეა, ბიძიკო, ძნელია შერჩევა!

ამგვარ განსჯაში რომ იყო კომისია, ყველაზე მთელი მოულოდნელად კაბინეტის კარი გაიღო და დირექტორის მუშაო მდივანმა თავი და კისერი შეგნით შეაყვლეულა, თან თვალებით კითხულობდა, შემოვიდო? დირექტორმა თავი დაუკანტურა, შემოდიო! რიგით მუშაო მდივანმა თქოების ნარნარი რხევით დირექტორს მაგიდაზე რაღაც სასწრაფოდ პასუხასაცემი ქაღალდი დაუღო. კომისიის წევრებს (უმეტესობა მამაკაცები იყვნენ) დაავიწყდათ საპასუხისმგებლო სხდომა და ყველამ რიგით მეორე მდივანის მკერდ-გავას დაარჯო ანაკერხლმული თვალები (რიგით პირველი მდივანი ამაზე შურით იგებოდა! რა არის აქ შესაშორი?!). დირექტორი სასწრაფო ქაღალდს კითხულობდა, ხანდახან სახეზე ბოღმის ალები გადაჟვლიდა ხოლმე, მერე ისე იღრიალა, რომ კომისიის წევრებს ეროტიკული ოცნებები დაუქსაქსა.

- ერთი შეხედეთ! ამ საერბოკვერცხე ტაფების წარმოების ექსპერიმენტულმა სადგურმა ყველაფერში როგორ უნდა დაგვასწროს?! ლოთობასთან და ნარკომანიასთან ბრძოლის კომისია შეუქმნიათ!

- მაგნარი კომისია არც ჩვენ გვაწყენდა! ნარკომანია, აბა, რა არის, ჩვენი ზოგიერთი ქალი და კაცი საშუაო საათებში ათ-ათ ჭიქა ჩაისა და ყავას რომ წრუპავს?! თანაც მკითხაობა გაუღით: შენს ჭიქაში გველი ამოვიდო, შენში - თავვი, ქმარს საწყობში დაგინიშნავენ, იმისაში - მელა და ა. შ.

- ყავის სმა რა ნარკომანია?! - გაოცდა დირექტორი.

- აბა, რა ჰქვია ყავის გამუდმებულ ხერეპასა და მკითხაობას?! - იკითხა მთავარმა ინჟინერმა.

- მართლაც, რა ჰქვია? - აყაყანდა კომისია.

- რა ჰქვია და ყავამანია - ისუმ-რა მთავარმა ეკონომისტმა.

- გენიოსი ხარ! გამოგვიყავნე მდგომარეობიდან და ეგ არის! ჩვენ არა მარტო ახალი კომისია შექმენით, არამედ ახალი ტერმინოლოგიაც შევიმუშავეთ!

ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე კომისიამ შექმნა ყავის გაუთავებელ სმასთან დახლებზე მკითხაობასთან ბრძოლის საკოორდინაციო ასოციაცია.

თავმჯდომარედ დირექტორი დაასახელეს. - არავითარ შემთხვევაში! - ცივ უარზე დადგა დირექტორი.

- აბა, სხვა ვინ შეძლებს? - ვინმე სხვა! - ოფლს იწმენდა დირექტორი იმის შიშით, რომ სხვა არ დაასახელონო.

- თქვენს გარდა, სხვა არ გვინდა! - ერთხმად იგრილა კომისიამ.

- რაკი ასე დაიწმენით მავალბეთ, თანახმა ვარ! თქვენს ნდობას გავაძარტოვებ! - იღმებოდა დირექტორი, - ოღონდ კომისიაში ვინმე გარეშე პირიც უნდა შევიყვანოთ, ისეთი კაცი, დიეტას რომ იცავს!

- ასეთი ჩვენი ლიფტიორია!

- მართლაც კარგი კანდიდატურაა, ბევრი დრო აქვს და კომისიების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს! ლიფტიორის გვარი, სახელი და შამის სახელი მითხარით!

ყველა დუმდა, არავინ იცოდა მისი ვინაობა, იცოდნენ, რომ ლიფტიორი იყო და დღენიადე მაწონს სვლეპდა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ დირექტორმა იბდავლა:

- რას მომჩერებინხართ?! ჩქარა ამოიყვანეთ ლიფტიორი, სხვამ არ წავგართვას! ყველაფერია მოსალოდნელი!

საჩანა ლიფტიორს მე-18 სართულზე ამოიყვანდნენ, დირექტორის კაბინეტში კიდევ სამი კომისია შეიქმნა და სამივეში ეს ლიფტიორი შეიყვანეს. როცა ეს ამბავი ლიფტიორს უთხრეს, მან იყვირა:

- რა არის ეგ თქვენი კომისია?!

- რომ განდები მისი წევრი, მერე გაიგებ! ახლა მაგის დრო არ არის! - აუხსნა დირექტორმა.

- არა, შამინც მითხარით, რა უნდა ვაკეთო?

- რა უნდა აკეთო და, შენი აზრი უნდა გამოთქვა ყოველგვარ ნაკლოვანებაზე, აი, ჩვენს საწარმოში რომ შეინიშნება ხოლმე!

- მოეფერა დირექტორი.

- არ შემძლია! - ლამის ატირდა ლიფტიორი.

- შენ იქნები კომისიის თავმჯდომარე!

- რატომ?

- აგრეთვე იქნები შტატგარეშე პრორექტორი...

- არა, არა...

- ამასთან ერთად, არჩეული ხარ ჩვენი საწარმოს პიკეტინის დაცვის პრეზიდენტად!

- მიშველეთ! - იყვირა ლიფტიორმა.

- სათავეში ჩაუდგები უგერვილობასთან ბრძოლის ასოციაციას!

- მღუპავთ?! - გაოცებული კითხულობდა ლიფტიორი.

- მხარში ამოვიდგებით! ჩვენ აქა ვართ! - იმედს აღუთქვამდნენ კომისიის წევრები, - პერსონალურ ლიფტს გამოგიყოფთ თავისი ტელეფონითა და მაცივრით!..

აი, ამან კი ცოტათი ჩააფიქრა ლიფტიორი და თავისი თანხმობა დჟიმლით გამოთქვა.

პირველ ხანებში ლიფტიორს გაუჭირდა კომისიებში მუშაობა. მერე და მერე, ჭურღულ ძილს რომ მიეჩნია, კომისიებზე დასწრება მისი ჯანმრთელობისათვის სასარგებლოც კი გამოდგა. ამ კომისიებში მუშაობის პერიოდში პატარ-პატარა სიკეთეებიც შეხვდა: კომფორტულად მოიწყო პერსონალური ლიფტი - დადგა საუფროსო მაგიდა, დაამონტაჟა კონდიციონერი, კედლებზე გააკრა პეიზაჟებიანი შპალერი. საერთო ლიფტი კი უყურადღებობისაგან მოიშალა, ხალხი საათობით იყო სართულებს შორის გამოჭედილი და ალპინისტების დახმარებით ამოჰყავდათ.

ამ ამბის გამო სამსახურში იმატა დაგვიანება-გაყდნებმა, საწარმოო ტრავმებმა. ისე რომ, დღის წესრიგში დადგა ლიფტის მოშობის გაუმჯობესების საკომისიო შტაბის შექმნა.

შეიქმნა კიდევ! როგორ გგონიათ, შტაბში ლიფტიორი შეიყვანეს?

არა!

რატომ?


იმიტომ, რომ უკვე უამრავ კომისიაში იყო შეყვანილი და სად ეცხლა ლიფტისათვის?!

აპთანდილ აღისეი



ილუსტრაციები ლ. პრისტავისა

ნახ. პ. ლოლუასი



— აჲ, თუ ძმა ხარ, ქრთამი თვალით არ დამანახო!

**აონაწარაჲი
 განსხაღავაჲის დაწიღან**

„ეძეჲ გავლენიან, საიმედო თანავეტორს“.
 გამომგონებელი, სენარისტი.

„მეველი მრავალო თახიან ბინას ავეჯით, ტელეფონით, სიდერით ერთოთახიან ცარიელ ბინაში“.
 თავმობუზრებული

„ვაგზაქუჲ აბიტურიენთებს ვასტაველი კარტულ ენასა და ლიტერატურას უმაღლიესში შესასვლელათ“.
 სპეციალისტი

„ღეგულრუბთ მსურველებს ჳრა-კერვის, ვიტრიკერის და თონხა-ბარვის შემსწავლულ წრებში“.
 კლუბის ღირეჲცია

„დაიკარგა ბინოდან გასული ბულდოგი. აჲეს განსაკუთრებული ნიშნები: ბრაჲონია, ილრინება, გაუთავებლად ყეფს. მნახველს ვთხოვთ პატრონს არ შეტყობინოს! ტელ. 13-13-13“.
 შეწუხებული მეზობლები

გაუგებროგა

— თუ კაცი ხარ, გუშინდელივით საუკეთესო ვაშლები ამირჩიე და ჴემეტს მოგცემ!
 — ...მე კოდევ რევიზორი მეგონეთ!
 — ვინ თჲვა, არაო?
 — ?!

უსამართლო საყვეღარი

— შეიძლება უფროსის რაღაც არ მოგწონდეს, მაგრამ რაც გულში გაჲქვს, ყველაფერი კი არ უნდა დაჲქვას!
 — უსამართლოდ მისაყვეღურებთ, უფროსო! ვინ ოხერი... იმის ნახევარიც არ მითჲვამს, რაც გულში მაჲქვს.

თხალსაინო გაგალითი

ჴუსტ მეცნიერებათა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა თავის მრავალრიცხოვან მსმენელებს რეპეტიტორმა ასე დამაჴურებლად დაუმტკიცა.
 — რამდენიმე წლის წინათ აბიტურიენტები მოვამზადე ისეთ განყენებულ მეცნიერებაში, როგორიცაა მათემატიკა, და ამხანაგობის სახლში ბინა გავინაღდე. შემდეგ ფიზიკაში მოვამზადე ბავშვები და ახალ ბინას კაპიტალური რემონტი გავუკეთე. ახლა თჲვენი იმედით მანჲანის შეჲქენას ვაპირებ... ისწავლეთ, ბავშვებო, მეცნიერება!.. გა მოგადგებთ!

აპოლონ განიღანია

ფროზუბი

- მოწოდება უყვარდა — მოაწვდიდნენ ქრთამს და იღებდა.
- მიწოდგილობრით გაფორმებულ მანჲანას დაუნდობლად დააქროლებდა.
- მეფრინველეობაში ვიწრო სპეციალობას მისდევდა — ოფოფები მოამრავლა.
- სპამე ჳათხა-იოგის სისტემით წაიყვანა — სულ თავდაყირა დააყენა.
- ათი მიითვისა და კოდევ ათი გამოუტანეს.
- უფალი მის არსებაში იყო — მუცელღმერთა გახლდათ.
- უფროსს ჳირი მოუჩინინეს, მაგრამ ახლა უჲიროდ აჲირვებდა საქმეს.
- ჴოგირათი კაცი მძიმე ცხოვრებას მსუბუჲი ყოფაჲცევით იმჲის.

ჴამალ ვეჲჴა
 (გულრიფჴის რ-ნი)

ბელოჯი ყინაჯი მეზობლები

„ხალხის გულისთვის“ ჩვენი ძვირფასი ცუცა ლაბრძანდა თვითმფრინავის ხავერძულზე და გადაუტრინა თბილისის ღურჯ კასი... რისთვის? როგორ თუ რისთვის?! — თვალს უნდა დააღვეინოს წყალი და — მისთვის... რამდენი რამ არის იქ სანახავი, რაც უსათუოდ უნდა ნახოს! იქნებ სურათების განთქმული ვალერეა სურს ნახოს, ყველაფერს კარგად ჩაუკვირდეს, მაღალ ხელოვნებას მიეხასოებს? მოსკოვში წავა ადამიანი და წითელ მოედანს არ ნახავს?! რევოლუციის მუზეუმს არ ნახავს?! შესაძლებელია, უფრო მეტად აინტერესებდეს სოფლის მეურნეობის საოცარი გამოფენა, — იქნებ მისით სურს განიცადოს, როგორია სიამაყით გულის ბუდიდან ამოფრენა?! შემდეგ კი „გუმისა“ და „ცუმის“ მაღაზიებს დაუვლის, თავისიანებს ხანუქრებს უყიდის უსათუოდ! ვინ ჩამოსულა მოსკოვიდან უსაჩუქროდ?! ...არა, გენაცვალეთ ჩემი თავი, ცუცას ეს ფიქრადაც არ მოსვლია, ამგვარ განზრანვებს არ შეუღალავთ მისი ოცნებების პარმონია! ირბინა საწყალმა, იწვალა, ათრია ჩანთები ფაფიფუციოთ, და როცა ფანციფუჭით მაგრად გამოტენა, დაბრუნდა თბილის-ქალაქს!... სიმდიდრე მოელოდა და, მერე რამოდენა! ფანციფუნცის ამბავი ხელად ეცნობა ფულის განიავეების ოსტატ ქალებს (ბარაქალა იმათ ქმრებსა, თუ მამებს!) დიდად კმაყოფილი ცუცა კი ერთობოდა მზესუმზირის კანაწაკუნით და ტკიციან თუმბინებს გაჰქონდათ ტკაცატკუცი!..

ერთელ ცუცასთან მოვიდა ძველი ნაცნობი ქალი, თქვეს იმ მთისა და ამ მთისა, იქითური და აქეთური და მერე მან მიმართა ცუცას საყვედურით: — გრცხვეზოდეს, მოსკოვს რომ გარბინარ! როგორ გგონია, შენი მომარაგებისათვის ჩვენ არ ვვარგავართ?! მოდი, გენაცვალე, წამოიდე საქონელი, ჩვენ გეასარგებლე ერთიორად და შენ თუნდა გაყიდე ერთიოთხად!

ისე გამდიდრდა ბუბურქალა ცუცა; რომ ბედძერს ბუდიც კი გამოუჩნდა! — ჰაა და — ქორწილი, რომ უცბად — ფაფუუ!

დამთავრდა შენი ვაჭრუკანობა! ქალი ხარ შენც?! დაგეწვას ქალობა! იქნებ ახლა ძალიანაც ნანობ, საწყალო! იქნებ ახლა ბევრსაც ოხრავ, — იმოდენა „მონაგარი“ რომ დაგრჩა ოხრად! ვანა არ მეცოდები, ჰუის უბედური რომ ხარ! მაგრამ მე რომ შენ გიცნობ, არა მგონია, სირცხვილით ლოყები ყურებამდე გეწოდეს! წადი, მოშორდი დედაქალაქს და შრომის კერპს სასოებით მუხლი მოუყარე! — მარტო ის განწმენდს შენს ცოდვებს!



შენი შენი. ეს აგბავი მოსდგომოდა? — რა შიში, როც საქონელი ყოფილიყო გავრი და ვალაღი ხარისხის! სიხარბეს კი პატრონი გადაუშენდა, მაგრამ იქნებ მაშინ ცუცა-ოხარი ამ შეცდომას არ დაუშვებდა?!

ნახ. შ. ლელაქიძე



— ქურდი ვარ! ფული ჩქარა! — დაჰკარ ხელი! ძმები ვყოფილვართ!

ნახ. შ. კუციანი



უსიტყვოდ



— რა ძვირფასი უმაწვილი დგას დახლს იქით!
— რად გინდა, დახლს აქეთ კაპიკია მაგინი ფასი!



— ამხანაგო, თქვენ არასწორად ხმარობთ ჩვენი მო-
წინავე ოსტატის გვარს!
— გაცვდა, ბატონო, ამდენი ხმარებით!



— რა არის, თქვე კაი ხალხო, ამ ჭიქებს რომ აღი-
ღებთ და აღიღებთ?!
— სამაგიეროდ, ბოთლებს ვაპატარავებთ!



გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში მცხოვრები რამაზ შალვას ძე ნადირაძე ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა მილიციის მუშაკებთან ჭადილში — სატვირთო ავტომანქანას, რომლის მძღოლადაც ის მუშაობდა, ხშირად იყენებდა არა მარტო სასაქონლო-ციოდ (საქონლის გადასაზიდად), არამედ — ღია მალაზიადაც. რამაზი ფრთხილად იყო, როგორც კი დაეცნო, რომ მისი მილიციის მუშაკებმა კვალი აიღეს, ჩართავდა ძრავას და სადღაც გაუჩინარდებოდა. მაგრამ კოკა ყოველთვის როდი მოიტანს წყალს! მილიციის მუშაკებმა რამაზი იმ დროს დააკავეს, როდესაც თავის სოფელ გამარჯვებაში 35 კაპიკად ღირებულ ერთ ქილა მწვანე ლობიოს თითო მანეთად ყიდდა თავის კარის მეზობლებში.

— დიდი ამბავი! 240 ქილა მწვანე ლობიო ვიყიდე და მოგება სულ რაღაც 150 მანეთი დამრჩებოდა. ამისათვის უნდა დავისაჯო? — სასამართლო პროცესზე თავი მოსისაწყლა მან, მაგრამ „მიამიტ“ სპეკულანტი რამაზ ნადირაძეს 2 წლით შეუფარდეს პირობითი სასჯელი — შრომა-გამასწორებელი სამუშაო, ხელფასიდან 20 პროცენტის დაკავებით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ეგებ ახლა მაინც დაიმასსოვროს რამაზ ნადირაძემ ანდაზა: „ლენინური ლობიოს ლენინური წყალი მოხარშავს“.

ბატონის ხსნარი გვირდება? მეგაზე ადვილი რაა, ობიექტზე არ წავიგებ და სახლში მოვიტანო, უთხრა ამხანაგს, მ. წივილაშვილს, გიორგი ალოიანმა (მცხოვრები ქ. თბილისში, ბუგეულის ქ. 15).

თქმა და საქმე ერთი იყო — მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „მშენებლის“ № 2 ავტობაზის მძღოლმა გ. ალოიანმა, რომელსაც ბეტონის ხსნარი გადაჰქონდა მუხიანის მშენებარე ობიექტზე, ავტომანქანის მარშრუტი თვითნებურად შეცვალა და 2 კუმბეტრი ხსნარი გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფელში მ. წივილაშვილის სახლისაკენ გააქანა, თან გზაში არხებინად ღლინებდა, მუქთი ძმარი შაქარზე უტკბილესიყო. მაგრამ გზაში მილიციის მუშაკებმა დააკავეს და ღლინის ხასიათი დაუკარგეს — შიშობრძანეს სადღაც ჯერ არს.

თიმიურაზ გივიის ძე გელევიანიშვილს (მცხოვრები ქ. თბილისში, ბალანჩივაძის ქ. № 18) ერთი დევიზი ჰქონდა აჩემებელი: ცდა ბედის მოხაზვერეაო! იგი არაფერს არ თაკილობდა, მოლონდც სადმე რაიმე სარგებელი ენახა და ამიტომაც რამდენჯერმე იყო მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ბოლოს, სახელმწიფო კონსტრუქციის გატაცების, სპეკულაციისა და ხელდასრულებისათვის რვა წლით მიუჩინეს „მყუდრო ბინა“.

თიმიურაზს სასჯელის მოხდამდე კიდევ 2 წელი ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ კვლავ ახალი დანაშაული ჩაიდინა — თბილისში, შინ მიუვარდა ხანშესულ მერი შ-ს და გაუპატიურება მოუწოდოდა. დარჩენილ ორ წელს კიდევ ოთხი წელი დაუმატეს და საბოლოოდ მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ეგებ ახლა მაინც დაიმასსოვროს თიმიურაზ გელევიანიშვილმა ერთი კარგი ქართული ანდაზა: ნუ იქმ ავსა და ავისა ნუ გემინიაო!
გელა ნიკოლოზის ძე ჭინჭარაძემ (მცხოვრები გარდაბნის რაიონის სოფ. სართიჭალა) სპეციალობით მუშაობას სპეკულაცია არჩია, მაგრამ დიტირეს და კრასნოდარის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 6 აპრილის განაჩენით 4 წლით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა. 1982 წლის 8 ივლისს გამოიქცა სასჯელის მოხდის ადგილიდან, ჩამოვიდა საქართველოში და იმაღლებოდა გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში.

მიმაღლაში მყოფი გელა ჭინჭარაძე ერთ დღეს მაგრად გამოთვრა და სართიჭალის სასადილოდან გ. გიუნისვილის მსუბუქ ავტომანქანას დაადგა თვალი, მერე კარები ტექნიკური საშუალებით გააღო და მანქანა გაიტაცა, მაგრამ დააკავეს.

სასამართლოს განაჩენით გ. ჭინჭარაძის ადრინდელი სასჯელის ნაწილს დაემატა ორი წელი და საბოლოოდ მოსახდელი დარჩა სამი წელი და ექვსი თვე მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში.



— მითხარით, გეთაყვა, ჩემი საჩივარი განიხილეს?
— რა გვარი ხართ? პეტროვი? ჭერ არ განუხილავთ!


ქსენოთ თუ ქრონოზი?

ერთ ჩემს მეგობარს სოფელში გარდაეცვალა ბებია (ხნიერი ქალის სიკვდილი ზოგს არც კი გაჰკვირვებია). მორჩნენ სამზადისს და როცა დღე დადგა დასაფლავების. ყველა — დიდი თუ პატარა — მორთული იყო შავებით!.. ციმციმ ასწიეს ბებია (რძალი თავს კედელს ახლიდა), ვიწვივით, წივილ-კივილით გამოიყვანეს სახლიდან. უთხრეს: „სპეტაკი იყავი, სპეტაკად ტოვებ ამ სოფელს!“ და მიაბარეს საწყალი სამარადისო სამყოფელს. მეც ხვებთან ერთად ვგლოვობდი ჩემი მეგობრის ბებიას და საქელეზო სუფრაზე მისვლა არ დამვიწყებია. როდესაც ფულის ამკრებმა თითქმის გაავსო სეიფი, კმაყოფილებით შესძახა: „ახლა იწყება ქეიფი!“ ორი მთასავით ვაუკაცი შემოგვეგება ხელგაშლით, თუმც ხალხის ტალღას შევქონდი ყაზარმისხელა სეფაში!.. როცა დაჯდომა შედგინდა, ცერად გავხედე მაგიდას, იმდენი ეწყო საქმელი, კაცს მარტო ცქერა დაღლიდა!.. მერე თამადა ადგა და პირი დავაღე შაშვივით, წამოიშალა მხედრობა, სმისთვის საღერღელაშლილი!.. ვილაცას ქათმის ბარკალი ხელში ეჭირა ყანწვივით და ყველა მხიარულობდა — ხანდაზმული თუ ყმაწვილი!.. შესანდობარი მესამედ როცა დალია თამადამ, სუფრის სადავე დაკარგა და ხალხიც გაუთამამდა!.. ელნათურებიც აინთო, თავი დაგვიკრა აისმა, აქა-იქ ხმაღაწეული „მრავალუამიერ“ გაისმა!.. შევყვირე: „ჭკუა დაკარგეთ თუ მე გგონივართ მოცლილი?! ნიშნობა არის, ძეობა, დღეობა თუ ქორწილი!“ თამადამ დამიღრიალა: „გეყოფა ბევრი ქაქანი! ჩვენც კარგად ვიცით, სადაც ვართ, ჩქარა დაცალე სტაქანი!“ მე კი ეს გულისტკივილი სამარადისოდ დამრჩება!.. რამ დაგვაფიწყა, ნეტავი, პირის და ღზინის გარჩევა?!
ალმანჯორ თაგამი

მზა რითმები ტექსტისათვის

ცენტრალური ქუჩის კუთხე-
ში ზურმუხტისფერად მოელვარე პატარა კიოსკია, რომლის თავზეც რამდენიმე წარწერაა გაკრული: „ყველას შეუძლია, თვითონვე შეადგინოს საკუთარი სიმღერის ტექსტი!“ „სიმღერიდან სიტყვებს ვერ ამოური!“ „ნაყიდ სიტყვებს უკან არ მივიღებთ!“
— მითხარით ერთი, ამ კიოსკო რა იყიდება? — ჰკითხა ერთმა ცნობისმოყვარემ გამყიდველს.
— განა, თავად ვერ ხედავთ?! მგონია, გარკვევით წერია: „იყიდება მზა რითმები ლირიკული და სახუმარო სიმღერების ტექსტებისათვის.“
— მომიტევეთ, მაგრამ, როგორ უნდა გამოვიყენოთ?!
— ჩვეულებრივად. ყიდულობთ რითმებს და ამზადებთ ტექსტს სიმღერისათვის. ოღონდ, ვთხოვთ, დახლიდან ცოტა გაიწიოთ, თორემ მუშტარს ხელს უშლით!
— ცალობით შეიძლება?
— არა! მხოლოდ კომპლექტი იყიდება! თუ ალბა გნებავთ, ნუღარ აყოვნებთ!
— სახუმარო ლირიკული სიმღერისათვის შევიძენ რამდენიმე რითმას!
— მაგისტვის ბევრი რითმა არც არის საჭირო: ოთხი სტროფისათვის რვა ცალი სრულიად საკმარისია!
— ოჰ, ვე მეტისმეტად ცოტაა! განა რა აზრი უნდა ჩავტეიოს?!
— ნუთუ არ გეხმით, რომ სახუმარო ლექსში რამდენადაც ნაკლებია აზრი, მით უფრო გასაგებია! მთავარია, სიტყვებს სერიოზულობა აკლდეს!
— საინტერესოა! მაინც როგორ კეთდება?!
— სულ იოლად. აი, იყიდეთ რითმები: „შენთან — ჩემთან“, „მე — შენ“, „სტაფილო“ — „სიყვარულო“, „ძილს — ღრძილს“. მიუსადაგეთ ენაზე მომდგარ პირველსავე სიტყვებს და სიმღერის ტექსტიც მზად იქნება. მაგალითად, ასე:
**ჩვენ შევხვდით გაზაფხულზე,
მე ვიყავი შენთან,
შენ კი — ჩემთან!
მერე წახვედი ჩემგან!
სად ხარ, ჩემო სიყვარულო?!
ერთ საღამოს, ნაღვლიანი,
როცა ვკენებდი მე სტაფილოს,
შენზე ფიქრით გათანჯულმა
თავი მივეც ძილს
და სიზმარში დავეკონე
შენს ვარდისფერ ღრძილს!**
— კი მაგრამ, ვე სომ ნაღდი სისულელეა?!
— უმუსიკოდ, შეიძლება, სისულელეც იყოს! მაგრამ, აბა, ერთი, შელოდია შეუწყვეთ და ისეთი სიმღერა გამოვა, კონცერტების რეპერტუარიდან არასოდეს აღარ ამოიშლება!

გაზეთ „ნოეს ლეგენიდან“ თარგმნა
შოთა ამირანაშვილი



სოციალიზმი



ნოველა

ჩემი ფერადი ტელევიზორი მწვანედ აჩვენებს. ადამიანი მწვანეა, შენობები - მწვანე, თოვლი - მწვანე, ტყეები და მინდორ-ველები სომ მწვანეა და მწვანე!..

სარაველს ზამთრის ოლიმპიურ თამაშობებსაც კი მწვანედ გახასხასებულს ვუყურე. ხელოსანი გამოვიძახე, - ნათურები გამოცვალა (ჩემი ასლების ნაცვლად, თავისი ძველები ჩამიდგა), წითელი თუმნიანი წაიღო და წავიდა. ტელევიზორს არაფერი ეშველა, მაგრამ მისგან ის მაინც გავიგე, რომ ტელევიზორის ხელოსნებს შორის არის ერთი ნამდვილი ხელოსანი, გვარად ყიზილბაშიანიძე, ვინც თურმე მართლა იცის საქმე.

ქალაქგარეთ, ტელევიზორის ხელოსნებთან, ტაქსით მივერიალდი, კალმის წვერით ნაშოვნი თუმნიანი მძღოლს თავმომწონედ გადავუგდე, მოვებნე ყიზილბაშიანიძე და გასაჭირი ვუამბე.

- არ მცალია! - მომიგო ცივად, მოკლედ. - ფულს რამდენსაც მიბრძანებთ, იმდენს მოგართმევთ!.. - უჩუჩუნულე ყურში. - მანქანა სად არის? - იკითხა ისე, თავი არ აუღია, ვიღაცის ტელევიზორი დაეძალა და შიგ ჩაფლულიყო.

- მანქანას გავაჩერებ, შე კაცო, ფული თუ მაქვს, ყველა მანქანა ჩემი არ არის? - ვითომ მართლა ფულიანი კაცივით გავიჯიგებე. - არა, ვერ წამოვალ, მაგის დრო სად არის, ქუჩაში მანქანები ვაჩეროთ!.. - თქვენ ვინ გაკადრებთ მაგას, აქ მოგიყვანთ მანქანას და ჩავაბრძანებთ... - არა, არა! - ხელები გაასავსავა კვლავ. - აქეთაც სომ მინდა წამოსვლა!.. - აქეთაც წამოგიყვანთ.

- მანქანიანი ხალხი რიგში მიყენია, რა ძალა მადგას, უმანქანოს გავყვი! - გამიჯავრდა ბოლოს. „მანქანიანი“?.. ყოყმანის დრო არ იყო. ავდექი და მანქანა ვიკიდე. საკუთარი მანქანით ვვახელი და ახლა უფრო თამამად ვოსოვე წამოვილა. თქვენც არ მომიკვდეთ, ყურიც არ გაიბარტყუნა, არაფრად ჩამითვალა მანქანის შექენა.

- ვერ წამოვალ! - მომიგო წინანდებურად. - რატომ, რა არის მიზეზი? - აგერ მანქანა, აგერ ფული! - დიბეებში დავიწყე ჭიქვა, საგანგებოდ წამოვღებულნი უკანასკნელი ოცდახუთმანეთიანი ვუჩვენე. - ფული რას მიშველის, შვილი მევას უმა-

ლღესში მოსაწყობი! - გამომიტყდა ბოლოს და ბოლოს.

- უმაღლესში? - ფერი წამსვლოდა, წყალი დამალევიწეს და სკამზე დამსვეს...

ღრმად ჩაფიქრდი, ავწონ-დავწონე ჩემი შესაძლებლობა, გაებედე და სმადამლა ვუთხარი:

- დაგეხმარები!.. - მეტის შეპირება არ შემიძლია, მე პატიოსანი კაცი ვარ...

წამომყვა. შეხვდა ტელევიზორს და თქვა: - ანტენის ბრალია!..

- ვაიმე, არ დამლეო, უარი არ მითხრა!

- ვიკიდევ, - აგერ მაქვს ანტენები!.. ვუჩვენე ოთახის ანტენები. - გარე ანტენაცა მაქვს! - გავვარდი აივანზე. ამაოდ, არ მიშველა არაფერმა!

- ყველამ კი არ იცის ანტენის დადგმა, - დამარიგა ყიზილბაშიანიძემ, - ანტენის საამქროში იკითხე ჩინგიზხანაშვილი, - გვარი ქალაღღზე დამიწერა და გამომიწოდა, - ამან დადგას ანტენა, მხოლოდ ამის შემდეგ მოკიდებ ხელს... ახლა კი გამოძახებისათვის გადამიხადეთ!

ფული მორჩილად გადავუხადე და ჩინგიზხანაშვილს იმე დღეს მივაკითხე.

- მანქანა ნაყიდი მაქვს, - ვუთხარი ჩინგიზხანაშვილს, - აგერ მიდგას, თქვენს კარებთან, ჩაბრძანდით შიგ და წაუიდეთ ჩემთან!

- რად მინდა შენი მანქანა?! - მითხრა აგდებულად ხელოსანმა, - ორი მყავს: ერთი აგერ მიდგას მეც, კარებთან. მეორე სახლში მიყენია, ვერ გავიღებ, მუშტარს ვვლოდები...

- ფულსაც, რამდენსაც მომიხოვთ, იმდენს მოგართმევთ! - შეუშინდი და შელიასავით მიველაქუსე.

- კარგი, პო! გააფორმეთ გამოძახება! - მიბრძანა.

შიველი მიმღებ გოგონასთან და გამოძახება გავაფორმე.

- როდის მოვა? - ვიკითხე გულის კანკალით.

- ყველას ჩინგიზხანაშვილი გინდათ! აბა, რა ვიცი, როდის მოვა?! როცა დროს იმოვის, მოვა! უნდა დაელოდოთ! თუ ბინის კარი დაკეტული დახვდა, ის მეორედ ვერ მოვა, სომ იცით?! - მკაცრად გამაფრთხილა მიმღებმა.

- დიას, დიას, დაველოდები!.. აბა, როგორ!.. ის მეორედ ვერ მოვა, ამდენი დრო სადა აქვს!.. - წაველაქუსე მიმღებსაც, - მაგრამ არის ერთი გარემოება, ჩვენ, ოჯახში, ყველანი ვუმშაობთ, შე შეცნიერი ვარ, ჩემი

ცოლი დამხანარებელი პედაგოგია... შევაპარე ხელნელა მიმღებს, ეგებ ჩემმა შეცნიერობამ, ან ჩემი ცოლის პედაგოგიამ გაჭრას მეოქო:

- სანამ ჩინგიზხანაშვილი არ მოვა, გინდა აკადემიკოსი იყავი, სახლიდან ფეხი არ გაადგათ! თქვენ ყველანი პროფესორები ხართ, ჩინგიზხანაშვილი კი ერთია, ერთი!.. - დამტუქსა მიმღებმა.

ველოდე ერთი დღე, ორი დღე, მთელი კვირა ვერ წავედი სამხანურში. გაგდენისათვის საყვედური მომარტყეს პირად საქმეში და ჩინგიზხანაშვილიც მოვიდა. შეხვდა ჩემს ტელევიზორს და თქვა:

- არ ვარგა შენი ანტენები!

- ვიცი, რომ არ ვარგა, იმიტომ გამოვიძახებო, თქვენ ვეძებთ კარგი და დამიდგით!

- მოყვევი ყელის წვეას და ვედრებას.

- არა მაქვს!.. - მომიგლო ცივად და წასვლა დააპირა.

ვეცი კარადის უჯრას, ცოლის დანახოგი, შავი ღლისთვის გადანახული კაპიკები მაგიდაზე დავეყარე. ჩინგიზხანაშვილმა ორი თითით აიღო წითელი თუმნიანი, ეს გამოძახებისთვისო, ჩაიპუტუნა, ფული ჯიბეში ჩაიკუჭა, მომიბრუნდა და გულითადად მითხრა:

- ფული არ არის საქმე!..

- აბა, რაშია, მითხარი, შე კაცო, ქრისტიანი არა ხარ? - მთლად გავტყედი წელში.


- უმაღლესში მინდა შეილის მოწყობა! - მბრძანებლის კილო ჰქონდა ამახაც.

- უმაღლესში? - დამცეცხლა, - ორი კაცის მოწყობა უმაღლესში?! შეტისმეტია, ბატონო ჩინგიზხანაშვილო! - ვუთხარი მე.

- თუ შეტისმეტია, - მითხრა ნიშნის მოგებით ჩინგიზხანაშვილმა, - დაჯექი და უყურე მწვანე გადაცემებს!..

ვზივარ მას შემდეგ და ვუყურებ მწვანე დიქტორებს, მწვანე სახლებს, მწვანე თოვლს... რა უჭირს მერე, იყოს მწვანე, წარმოვიდგენ თეთრს და ვუყურებ მწვანელებს. დურება ის გასლავთ, როცა ტელევიზორს არ ვუყურებ და მწვანედ გახასხასებულ საქართველოს ბუნებას გავცქერი, მწვანე ფერის ნაცვლად, ყიზილბაშიანიძესა და ჩინგიზხანაშვილს ვხედავ, ხოლო მათი შეცვლა სხვა ფერით, ან სხვა რამით, ჩემს წარმოსახვას არ შეუძლია.

ილუსტრაციები ჩ.ლოლუასი



ნიკო მუსხელიშვილის იუმორი

პრისხალ ბანკეტზე, რომელიც თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამართეს (ეს 1954 წელს იყო), სუფრის თამადამ ნიკოს მეუღლისა და ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის მეუღლის სადღეგრძელო წარმოთქვა, მაგრამ სიტყვა გაუგრძელდა; ბატონმა ნიკომ რეპლიკით მიმართა თამადას: — შეიძლება მოკლდეს ჩვენი ხელმძღვანელების ხელმძღვანელების სადღეგრძელო იყოს!

ბატონ ნიკოს, ბუნებრივია, ბევრ ქალაქულზე უბედობდა ხელის მოწერა, ამიტომ ხანდახან მისი ფაქსიმილე ხშირად მოკლდებოდა და ოთხ ასოზე დადიოდა: **ნ. მუს.** მათემატიკის ინსტიტუტს ხანდახან ჩეკებს ბანკი უკან უბრუნებდა: ფაქსიმილე არ ემთხვევაო ნიშნულს! ბატონი ნიკო არასდროს გაღიზიანებულა და სუმრობდა: — ბანკში თქვით, ჩვენმა დირექტორმა წერა არ იყოს!

— თუ რიშანი, ან ჰუნაკარე ხარ, შეგიძლია წერო, როგორც ვსურს, — უყვარდა ხოლმე თქმა ბატონ ნიკოს, — კაცი მაინც შეეცდება გააჩნოს ნაშრომი, თუნდაც ამისთვის დიდი დრო დასჭირდეს; თუ ჩვეულებრივი მათემატიკოსი ხარ, კეთილი ინებე და გასაგებად დაწერე ნაშრომი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ წაიკითხავენ! (თვითონ ბატონი ნიკო, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო „ჩვეულებრივი მათემატიკოსი“, დიდ დროს ანდომებდა სამეცნიერო ნაშრომის დასწევას; კორექტურებსაც დიდი გულმოდგინებით ასწორებდა იგი).

პრისხალ ბატონმა ნიკომ მითხრა (ეს იყო დაახლოებით 1958 წელს), რომ იგი აპირებდა ჩემი დისერტაციის ძირითადი შედეგების შეტანას თავისი წიგნის („სინგულარულ ინტეგრალური განტოლებანი“) მეორე გამოცემაში და კარგი იქნებოდა, თუ სათანადო მასალას მოვაშადადებდი. ჩემთვის კარგად იყო ცნობილი ბატონი ნიკოს დამოკიდებულება სამეცნიერო ნაშრომის გაფორმებისადმი, მიუხედავად ამისა. მასალა მოკლედ დაეწერე (თავმდაბლობის გამო). ნაშრომის პირველი გვერდის მინდორზე ბატონმა ნიკომ წააწერა (ნაშრომი, ცხადია, რუსულად იყო დაწერილი, რადგან წიგნი რუსულად გამოდიოდა): «Г. Ф. Манджавидзе: прошу написать если не по-божески, то хотя бы по-человечески!»

მეზვდი ჩემს შეცდომას და ნაშრომი შემდეგ უფრო ვრცლად შევადგინე: ცხადია, ამით იგი „ნიжеский“ არ გამხდარა, მაგრამ მას შემდეგ რაც ბატონ ნიკოს ხელი მოხვდა, ალბათ, „человеческий“ მაინც გახდა.

დღესაც ბევრს ნათლად ახსოვს ბატონი ნიკოს გამოსვლა მისი დაბადების 80 წლის-თავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე. მან დიდი მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და დასძინა: — შეიძლება ზომაზე მეტად შემაქვს, მაგრამ ჩემს ასაკში ეს უკვე აღარ არის საშიში, აღარ გავყოფიხდები!

თავისი სიტყვა მან თავისებური იუმორით დაამთავრა (ხაზი გაუსვა რა გარკვეულ რეგულარობას, რომლითაც მისი იუბილეები აღინიშნებოდა): — ათი წლის შემდეგ შესწავლავ!

დიდ მათემატიკოსზე საუბრისას, ალბათ, მოულოდნელი არ იქნება, თუ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ ერთ-ერთ ინსტიტუტს იქსით, მის ერთ ყოფილ დირექტორს კი იგრავით აღვნიშნავთ.

ერთხელ, ნეგატიური მოვლენებით მდიდარ წლებში, იქს ინსტიტუტის დირექტორი იგრავი გაათავისუფლეს! — პროტექციონისტებმა თავიანთ მეგობარ ზეტს ადგილი გაუშანეს!

იგრავი ალგა და ბატონ ნიკო მუსხელიშვილთან მივიდა.

— ბატონო ნიკო, დირექტორობიდან გამათავისუფლეს!

— რასა ბრძანებთ?! — და ბატონმა ნიკომ გაკვირვება და თანაგრძნობა ერთად გამოხატა.

— როგორ, თქვენ არ იცოდით?! — ჰკითხა იგრავმა.

— არა, არ ვიცოდი! — მიუგო ბატონმა ნიკომ.

— როგორ, თქვენი ინსტიტუტის დირექტორი გაათავისუფლეს და თქვენ არ გკითხეს?! — არა, არ უკითხავთ!

— როგორ, თქვენ, აკადემიის პრეზიდენტს, არ გკითხეს ჩემი გაათავისუფლების ამბავი?! — სცადა პრეზიდენტის გაღიზიანება იგრავმა.

— არა, არ უკითხავთ! ის კი არადა, თქვენ წარმოიდგინეთ, თავის დროზე თქვენი დანიშნავ კი არ უკითხავთ! — შეწუხებული სახით აუსხნა ბატონმა ნიკომ იგრავს.

გიორგი მანჯავიძის მონოგრაფიიდან — „აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი“.



სატირისა და იუმორის ყურნალი „იუმორი“ № 8 (1666).
აპრილი, გამოდის 1923
წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ზოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
კახუა ამირეჯიბი, ნოზალი
ბართაია, ბორის ფურცული,
ნოდარ ლუმბაძე, რევაზ
თვარაძე, ჭემალ ლოლუა,
ნოდარ მალაზონია
(მხატვარ-რედაქტორი),
ალექსანდრე სამხონია,
ხეივან სხარუაძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ქაიხურა ჩარკვიანი, თამაზ
წიფივაძე, ნაფი ჭუსლითი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 23.3.
მა წ. ხელმოწერილია და-
ბამულად 18.4.84 წ.
ქალაქის ზომა 60×90/8
ფიზიკური ნიშნული ფურცელი
1,25, სააღრიცხვო-სავა-
სომცემლო თაბახი 1,7, სა-
ქართველოს კვ. ცვ-ის გა-
მომქმელობა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 719, უნ 00028
ტრაჟი 138.300. უფრნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
საღვნი ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 680008
თბილისი-8, რუსთაველის
ბროსბექტი № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
ბუშაგების — 99-02-38,
მდივნ — მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო-იუმორისტиче-
სкий журнал «ИУМОР»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии, Типография
издательства ЦК КП
Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
0666301 76137




სახ. ი. შანიბაშვილი

უსიტყვოდ

უკანასკნელი წლები ამერიკის იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული ძალების პოლიტიკის, აშკარა მილიტარიზმის, მსოფლიო ბატონობისადმი პრეტენზიების, პროგრესისადმი წინააღმდეგობის, ხალხთა უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის პოლიტიკის მკვეთრი გააქტიურებით აღინიშნა. ამ პოლიტიკის პრაქტიკული გამოყენების მაგალითი მსოფლიოს ბევრი უნახავს. ეს არის ლიბანში შეჭრა და გრენალის ოკუპაცია, გამოუცხადებელი ომი ნიკარაგუას წინააღმდეგ, მუჭარა სირიის მიმართ და, ბოლოს, დახვედეთ ევროპის გადაქცევა სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეებისათვის დამოწინებული ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული რაკეტების სახტარტო მოედნად.

გაზეთი "გაზა"



თეთრი სომალდის შავხნელი საქმეები